



ქაჩბის, ხაჩბიუხი და ათნიუხი უბსიუბბბბბ ბახიბბბბბბბბბბ სებბბბბბბბბ

2018



USAID
აბბბბბბბბ

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE
კანონის უბუნბბბბბბბბბბ
საბბბბბბბბბ (PROLOG)

ქალების, რელიგიური
და ეთნიკური უმცირესობების
მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა



2018

ანგარიში მოამზადა ადამიანის უფლებათა ცენტრმა

ავტორები: მარიამ ბაქარეიშვილი, ნინო ტლაშაძე
რედაქტორი: ალექო ცქიტიშვილი

არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRIDC) დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში. ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ადამიანის უფლებების პატივისცემა, ხელისუფლება კი პატივს უნდა სცემდეს კანონის უზენაესობას, გამჭვირვალობის პრინციპებს და ძალთა გადანაწილებას დისკრიმინაციის ყველა დონეზე.

ადამიანის ადამიანის უფლებათა ცენტრი არის შემდეგი საერთაშორისო ქსელების წევრი:

- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH); www.fidh.org
- წამების საზღვარგარეთ მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT - ქსელი SOS - წამება); www.omct.org
- ადამიანის უფლებათა სახლის ქსელი www.humanrightshouse.org
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არასამთავრობოთა კოალიცია (CICC); www.coalitionfortheicc.org

მისამართი:

0160 თბილისი, აკაკი გაბოკიძის ქ. 11ა, III სართული
ტელ.: (+995 32) 237 69 50, (+995 32) 245 45 33, (+995 32) 238 46 48
ფაქსი: (+995 32) 238 46 48
ელ-ფოსტა: hridc@hridc.org
ვებ-პორტალი: <http://www.humanrights.ge>; <http://www.hridc.org>

წინამდებარე ანგარიში მომზადდა პროექტის - „საქართველოს რეგიონებში მცხოვრები ქალების, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის მხარდაჭერა“ ფარგლებში. პროექტი დაფინანსდა ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) პროგრამის - „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) ფარგლებში, რომელსაც ახორციელებდა არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი.

ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი. ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის, აშშ-ის მთავრობის ან აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის შეხედულებებს.



სარჩევი

1. შესავალი.....	4
2. „ხანუმ ჭვირანოვა საქართველოს წინააღმდეგ“	5
3. სარჩელები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში.....	6
4. განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები - ძირითადი მიგნებები .	8
5. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის დანაშაულებრივი სტატისტიკა - საკანონმდებლო ხარვეზები	10
6. მსხვერპლის/დაზარალებულის შეზღუდული პროცესუალური უფლებები და სისტემური ხარვეზები.....	13
7. სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ქალთა მიმართ ძალადობის / ოჯახში ძალადობის ფაქტებზე არაეფექტიანი რეაგირების შედეგები.....	17
8. არაეფექტიანი გამოძიება /დაუსჯელი მოძალადეები	19
9. ადრეული ქორწინება	21
10. რელიგიური უმცირესობების უფლებები	24
11. ეთნიკური ოსების უფლებები და წვდომა მართლმსაჯულებაზე	25
12. რეკომენდაციები	26

1. შესავალი

პროექტის შესახებ

2017 წლის 15 აპრილიდან 2018 წლის 11 ნოემბრამდე პერიოდში ადამიანის უფლებათა ცენტრმა განახორციელა პროექტი - „ქალების, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის ხელშეწყობა საქართველოს რეგიონებში“. პროექტი დაფინანსებულია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI)-ის პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) ფარგლებში.

პროექტის მიზანი გახლდათ მონყვლადი ჯგუფების, ქალების, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების ხელშეწყობა საქართველოს რეგიონებში, კერძოდ - ქვემო ქართლში, შიდა ქართლსა და კახეთში.

პროექტით გათვალისწინებული ჯგუფების წარმომადგენლებს ადამიანის უფლებათა ცენტრის რეგიონების იურისტების დახმარებით გაეწიათ იურიდიული მომსახურება. თბილისის, კახეთის, შიდა ქართლისა და ქვემო ქართლის ოფისებში მოქმედებდა ცხელი ხაზი, რომლის მეშვეობით პროექტის იურისტები კონსულტაციებს უწევდნენ მოქალაქეებს.

პროექტის ფარგლებში ორგანიზაცია იცავდა: ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალებს, რომელთაც უარი ეთქვათ მემკვიდრეობისა და საკუთრების უფლების გადაცემაზე; ვისაც ემუქრება იძულებითი ან ნაადრევი ქორწინება; ვისაც დაერღვა განათლების უფლება; ვერ მიიღო ადეკვატური სამედიცინო ან სოციალური დახმარება;

ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებს, რომელთა უფლებები დაირღვა სახელმწიფო ინსტიტუტების ანდა კერძო პირების მხრიდან ეთნიკური ან რელიგიური ნიშნით. პროექტის ფარგლებში, ორგანიზაციის იურისტები დისკრიმინაციის მსხვერპლ ადამიანებს იცავდნენ როგორც ადგილობრივ სასამართლოებში, ასევე ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში და გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტში (CEDAW).

პროექტით გათვალისწინებულ საკითხებზე ორგანიზაციამ აწარმოა 84 საქმე ადგილობრივ საერთო სასამართლოებში და სხვადასხვა საგამოძიებო სტრუქტურებში (პროკურატურა, პოლიცია). ორგანიზაციის წარმოებაში არსებული საქმეების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობის შემთხვევებს არ მოჰყვა სახელმწიფოს შესაბამისი უწყებების მხრიდან ადეკვატური რეაგირება. ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობისა და ფემიციდის შემთხვევების დროს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურისთვის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება: დაზარალებულისთვის სტატუსის დროულად მინიჭების პრობლემურობა, არაეფექტიანი გამოძიება, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების კვალიფიკაციის ნაკლებობა.

2. „ხანუმ ჯეირანოვა საქართველოს წინააღმდეგ“

პროექტის მხარდაჭერით, ადამიანის უფლებათა ცენტრი აქტიურად თანამშრომლობდა ევროპის ადამიანის უფლებათა ადვოკატირების ცენტრთან (EHRAC). აქტიური და ეფექტიანი კონსულტაციები წარმოებდა 3 საქმეზე. აქედან 2 საქმე შეეხებოდა არასრულწლოვანთა გაუპატიურების შემთხვევებს, რაზეც ადამიანის უფლებათა ცენტრი აგრძელებს ინტენსიურ კონსულტაციებს EHRAC-თან.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა და „საფარმა“, EHRAC-თან თანამშრომლობით, უკვე გააგზავნეს საქმე - „ჯეირანოვა საქართველოს წინააღმდეგ (Khanum Jeyranova vs Georgia) გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტში (CEDAW).

ხანუმ ჯეირანოვას საქმის გამოძიება ეროვნულ დონეზე 4 წელი მიმდინარეობდა და სამართლებრივი შედეგი დღემდე არ დამდგარა. სახელმწიფოს შესაბამის უწყებებს ჯეირანოვას სიკვდილის რეალური მიზეზის დასადგენად საჭირო მოქმედებები არ განუხორციელებიათ. 2014 წლის სექტემბერში საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფელ ლამბალოში 30 წლის ქალს შვილების თანდასწრებით სოფლის მოსახლეობამ მიაყენა მძიმე ფიზიკური შეურაცხყოფა, რასაც მოგვიანებით მოჰყვა ქალის სიკვდილი. 30 წლის ხანუმ ჯეირანოვას მიმართ მომხდარი დანაშაული კვლავაც გამოუძიებელია, მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა ქალის საჭაროდ დამამცირებელ და არაადამიანურ მოპყრობას სოფელში უამრავი მონმე ჰყავს. რაც შეეხება მის სიკვდილს, გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე

მუხლით, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. ასევე, არ არის გამოძიებული, ხომ არ იყო ეს თვითმკვლელობის ინსცენირება, რადგანაც არსებობს მტკიცებულებები, მონშეთა ჩვენებები, რითაც დასტურდება ფაქტი, რომ ქალს არ სურდა სიკვდილი და სიკვდილამდე რამდენიმე საათით ადრე შველას ითხოვდა. ამასთანავე, არსებობს ფოტოები, სადაც ქალის სხეულზე დაზიანებებია აღბეჭდილი. გამოძიების მიმდინარეობისას არ გამოკვეთილა გენდერული მოტივი, არ მომხდარა დამნაშავეთა იდენტიფიცირება და შესაბამისი სასჯელის შეფარდება. სახელმწიფომ ვერ შეძლო ღრმად დამკვიდრებული გენდერული სტერეოტიპების და გავრცელებული ნეგატიური კულტურული ნორმების აღმოფხვრა, რაც ხანუმ ჯეირანოვას მკვლელობის გამომწვევი ძირითადი მიზეზია.

3. სარჩელები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში

პროექტის მიმდინარეობისას, მართლმსაჯულებაზე წვდომის მიმართულებით, ადამიანის უფლებათა ცენტრმა 3 სარჩელი გაგზავნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში. სარჩელებში ასახულია სხვადასხვა სამართლებრივი ხარვეზი. კონკრეტულად, ორგანიზაციამ მოითხოვა იმ ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობა, რომლებიც ზღუდავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს. მნიშვნელოვანია, კანონმდებლობაში ასახული იყოს სახელმძღვანელო ნორმები, რომლებიც უზრუნველყოფს პირის დაცვას მართლმსაჯულების განხორციელებისას. სახელმწიფო შებოჭილი უნდა იყოს მკაფიოდ ფორმულირებული საკანონმდებლო ნორმებით, რაც მინიმუმამდე დაიყვანს თვითნებობის ან შეცდომის დაშვების საფრთხეს და უზრუნველყოფს სისხლისსამართლებრივ წარმოებაში საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული ღირებულებების რეალიზებას და დაცვას. პროექტის მიმდინარეობისას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ მიუღია.

ერთ-ერთი კონსტიტუციური სარჩელი (N 864) უკავშირდება შემაკავებელი ორდერის გამოცემისას სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენელთა დისკრეციას. საქართველოში დაფიქსირდა არაერთი შემთხვევა, როდესაც პოლიციამ ოჯახში ძალადობის ფაქტზე რეაგირებისათვის გამოიყენა მხოლოდ გაფრთხილება და შემთხვევა ფატალურად დასრულდა. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ გასაჩივრებულია სადავო ნორმა, კერძოდ - „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის 1 ნაწილი, რომლის თანახმად, „ოჯახში

ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის უფლებამოსილი ორგანოს მიერ მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად, დროებითი ღონისძიების სახით, შესაძლებელია, გამოცემულ იქნას შემაკავებელი ან დამცავი ორდერი“. ორგანიზაცია თვლის, რომ კანონი შესაძლებლობას აძლევს პოლიციელს, არ გამოსცეს შემაკავებელი ორდერი და მხოლოდ ე.წ. გაფრთხილებით შემოიფარგლოს, რითაც საფრთხე ექმნება მსხვერპლის ინტერესებს¹.

კონსტიტუციური სარჩელები N 1350² და N 821³ ეხება მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის - სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას. N 821 სარჩელში სადავო ნორმას წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის IV ნაწილის „ა“ პუნქტი, რომლის მიხედვით, სასამართლო მტკიცებულებათა დასაშვებობის შესახებ შუამდგომლობებს განიხილავს მხოლოდ წინასასამართლო სხდომაზე. შესაბამისად, არსებითი განხილვისას სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს უკვე დაშვებული მტკიცებულებების დაუშვებელ მტკიცებულებებად ცნობის შესახებ. აღნიშნული ნორმა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 ნაწილს. წინასასამართლო სხდომაზე მოსამართლე მტკიცებულებათა შეფასებისას ხელმძღვანელობს ალბათობის მაღალი ხარისხის სტანდარტით და ვერ ახდენს მტკიცებულებათა არსებით გამოკვლევას მათი რელევანტურობის, უტყუარობისა და დასაშვებობის კუთხით. შესაბამისად, საქმის არსებითი განხილვისათვის დასაშვებად ცნობილი მტკიცებულება, კრიტიკული შემოწმების გარეშე, არ შეიძლება, საფუძვლად დაედოს პირის მიმართ გამამტყუნებელ განაჩენს. რაც შეეხება N 1350 კონსტიტუციურ სარჩელს, სადავო ნორმა ეფუძნება შემდეგ სამართლებრივ საფუძველს - სასამართლო არ არის უფლებამოსილი, იმსჯელოს გადაწყვეტილების სამართლიანობაზე, თუკი დანიშნული სასჯელი ახალი კანონის სანქციის ფარგლებშია და ახლადგამოვლენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების გადასინჯვისას, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, შეამციროს მისი ზომა, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით გარანტირებულ სამართლიანი სასამართლოს უფლებას.

¹ <http://constcourt.ge/ge/ajax/downloadFile/2735>;

² <http://constcourt.ge/ge/ajax/downloadFile/3965>;

³ <http://constcourt.ge/ge/ajax/downloadFile/2465>;

4. განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები - ძირითადი მიგნებები

2017 წელს საქართველოს მიერ „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვენცია) რატიფიცირება მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაუმჯობესების თვალსაზრისით. სტამბოლის კონვენციის რატიფიცირება სახელმწიფოს ავალდებულებს, უზრუნველყოს ქალების დაცვა ძალადობისგან და პრევენცია, სამოგადოების ცნობიერების გაზრდა და უსაფრთხო გარემოს შექმნა. „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციასთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით 2017 წელს ასევე განხორციელდა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები. სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრულია ახალი დანაშაულების **დეფინიციები: მუხლი 133¹ - სტერილიზაცია თანხმობის გარეშე; მუხლი 133² - ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება; მუხლი 151¹ - ადევნება.**

პროექტის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა ცენტრის ქვემო ქართლის რეგიონული ოფისის წარმომადგენლებში იყო საქმე, სადაც გამოიკვეთა ადევნების ნიშნები, კერძოდ - შესაძლო დამნაშავე სისტემატიურად ძალადობდა მსხვერპლზე ფსიქოლოგიურად, ფარულად სწერდა სოციალური ქსელებიდან მუქარის შემცველ წერილებს, ემუქრებოდა მსხვერპლსა და მისი ოჯახის წევრებს სიცოცხლის მოსპობით.

საქმეზე გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლით, რომელიც გულისხმობს მუქარას და არა ადევნების ფაქტზე, 151¹ მუხლით. ორგანიზაციის რეგიონული ოფისის იურისტმა გაგზავნა წერილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რუსთავის სამმართველოს მე-2 განყოფილებასა და ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტში საქმეზე წარმომებული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ ინფორმაციის მოწოდების მოთხოვნით. ასევე, ორგანიზაციამ მოითხოვა საქმეზე გამოძიების წარმოება 151¹ მუხლით (ადევნება) გათვალისწინებულ ქმედებაზე.

ორგანიზაციის მოთხოვნის შემდგომ მსხვერპლი გამოიკითხა 151¹ მუხლით (ადევნება) გათვალისწინებულ ქმედებაზე, მაგრამ სავარაუდო დამნაშავე პირს გამოძიებამ ეს ბრალი მაინც არ წაუყენა.

იქიდან გამომდინარე, რომ ქართული სამართალდამცავი სისტემისთვის სიახლეა მსგავს დანაშაულებთან გამკლავება, მნიშვნელოვანია, განხორციელდეს მათი ჯეროვანი მონიტორინგი და უზრუნველყოფილი იყოს სამართალდამცავთა მზაობა ამ კატეგორიის დანაშაულებზე გამოძიებისა და დევნის პროცესის ეფექტიანობისთვის.

2017 წლის 4 მაისს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს ოჯახის ერთი წევრის მიერ დანაშაულის ჩადენა ოჯახის სხვა წევრის მიმართ. თუმცა, ვერც აღნიშნული ცვლილების იმპლემენტაცია ხდება პრაქტიკაში, რასაც ადასტურებს ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმოებაში არსებული საქმეების ანალიზი. პროექტის მიმდინარეობისას არც ერთ შემთხვევაში არ მომხდარა მოძალადისთვის დამამძიმებელი გარემოების გათვალისწინებით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრება.

გენდერული თანასწორობის მიმართულებით შესრულებული რეკომენდაციებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 2018 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ადამიანის უფლებათა დაცვის ახალი დეპარტამენტის შექმნა, რომლის მთავარი მიზანია ოჯახში ძალადობის, ქალთა მიმართ ძალადობის, დისკრიმინაციული ნიშნით და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების ეფექტიანობის უზრუნველყოფა. მნიშვნელოვანია, 2018 წელს ახალი პროექტის განხორციელების შედეგად მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის შექმნა. მართლწესრიგის ოფიცრის ფუნქცია-მოვალეობიდან ერთ-ერთია ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე რეაგირება, დანაშაულის პრევენციაზე ორიენტირებული ღონისძიებების დაგეგმვა. აღნიშნული ცვლილებების მიზანია ოპერატიულობისა და ეფექტიანობის გაზრდა.

ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის მასშტაბების მინიმალიზაცია სახელმწიფოსთვის კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. ზოგადად, ძალადობის გამომწვევ მიზეზებს წარმოადგენს: საზოგადოებაში გენდერული სტერეოტიპების არსებობა, ქალთა მიმართ პირდაპირი თუ არაპირდაპირი დისკრიმინაციული მოპყრობა, პატრიარქალური მიდგომები, ადრეული ქორწინება, ქალთა ინფორმირებულობის პრობლემა უფლებების, სამართლებრივი მექანიზმების შესახებ, სამართალდამცველთა დაბალი კომპეტენცია, პროფესიული გულგრილობა და ხშირად ე. წ. კაცური სოლიდარობა მოძალადის მიმართ.

ოჯახში ძალადობის გამომწვევ ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს მსხვერპლის ეკონომიკური დამოკიდებულება მოძალადისადმი. ადამიანის უფლებათა ცენტრი სამართლებრივ კონსულტაციას უწევდა ქალებს, რომლებიც იყვნენ ძალადობის მსხვერპლნი. ერთ შემთხვევაში ქალზე ფიზიკური ძალადობა განახორციელა ქმარმა მცირეწლოვანი შვილის თანდასწრებით. მსხვერპლი მოძალადეზე ეკონომიკურად იყო დამოკიდებული. შესაბამისად, იძულებული იყო, დათანხმებოდა მოძალადის მოთხოვნებს. თუმცა, ორგანიზაციის სამართლებრივი დახმარების შემდგომ, ქალმა გადაწყვიტა, სამართლებრივი დავა დაეწყო მოძალადის წინააღმდეგ. ვინაიდან ძალადობას, უმეტეს შემთხვევებში, ოჯახის წევრები ახორციელებენ, მსხვერპლი განიცდის განსაკუთრებულ გავლენას, რომლის ფონზეც მიმართვიანობის სიხშირე ძალადობის საქმეზე დაბალი და ცალკეულ შემთხვევებში, დაგვიანებულია. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია საზოგადოებაში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება და სახელმწიფო ორგანოებისადმი ნდობის გაზრდა. მოძალადეზე მსხვერპლის ეკონომიკური დამოკიდებულება, ასევე, აბრკოლებს განქორწინებისა და მოძალადე მეუღლესთან საერთო საკუთრების გაყოფაზე დავის წარმოებას. ქალებს არ გააჩნიათ ინდივიდუალური შემოსავალი, რის გამოც უარს ამბობენ სარჩელით მიმართონ სასამართლოს, რადგან ვერ ახერხებენ ქონებრივ დავებზე კანონით გათვალისწინებული ბაჟის გადახდას. იმის მიუხედავად, რომ კანონი ითვალისწინებს ბაჟის გადავადების შესაძლებლობას, მოსამართლეები აღნიშნულ ჩანაწერს პრაქტიკაში არ ეყრდნობიან, რაც საბოლოოდ უარყოფითად გემოქმედებს მსხვერპლის საბოლოო გადაწყვეტილებაზე და საფრთხეს უქმნის მათ.

5. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის დანაშაულებრივი სტატისტიკა - საკანონმდებლო ხარვეზები

ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევები. საქართველოს სახალხო დამცველის განცხადებით, ქალების მკვლელობის ფაქტებთან დაკავშირებით ირკვევა, რომ 2017 წელს მომხდარი ქალის მკვლელობის 26 შემთხვევიდან 14 ოჯახში ძალადობის პირობებში იყო ჩადენილი, ხოლო 15 მკვლელობის მცდელობის ფაქტიდან 12 ოჯახურ ძალადობას უკავშირდებოდა⁴.

⁴ სახალხო დამცველის განცხადება 16.04.2018

მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებების მიუხედავად, სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს ქალების უსაფრთხოებას და სიცოცხლის უფლების დაცვას. ამას ადასტურებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნებული რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა⁵ 2017-2018 წლებში. როგორც სტატისტიკით ირკვევა, ოჯახში ძალადობის მუხლით 2017 წელს რეგისტრირებული 827 დანაშაულიდან გახსნილია 647. 2018 წელს აღნიშნული მუხლით რეგისტრირებული დანაშაულის რიცხვი მკვეთრად მზარდია და შეადგენს 2939-ს, საიდანაც გახსნილია 1809. რაც შეეხება გაუპატიურების მუხლით რეგისტრირებულ დანაშაულებს, 2017 წელს რეგისტრირებულია 28 დანაშაული, ხოლო გახსნილია 6, 2018 წელს კი რეგისტრირებულია 50 შემთხვევა და გახსნილია 12. წლების მიხედვით დანაშაულის რიცხვი რადიკალურად იზრდება, ხოლო გამოძიება კვლავ არაეფექტიანია.

ქვეყანაში კვლავ საგანგაშოდ მაღალია ფემიციდის - ქალის გენდერული ნიშნით მკვლელობის შემთხვევები. საქართველოს პარლამენტმა დღემდე ვერ განსაზღვრა ფემიციდი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, რომლის საერთაშორისო განმარტებაა: „ქალების მკვლელობა იმიტომ, რომ ისინი ქალები არიან“⁶. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილ სტატისტიკურ მონაცემებში არ არის წარმოდგენილი ფემიციდის რაოდენობა. საქართველოს სახალხო დამცველის ინფორმაციით, 2017 წლის მდგომარეობით საქართველოში ფემიციდის 22 შემთხვევა მოხდა⁷. პროექტის მიმდინარეობისას, ადამიანის უფლებათა ცენტრს წარმოებაში ჰქონდა ფემიციდის 1 საქმე: 39 წლის ქალი ყოფილმა ქმარმა ელექტროსადენით გაგუდა. სასამართლომ ბრალდებული დამნაშავედ ცნო და მას 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. არ მომხდარა გენდერული მოტივის შესაბამისად სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შეფარდება დამამძიმებელი გარემოების გათვალისწინებით.

პრაქტიკაში ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას ფემიციდის შემთხვევების გამოვლენისას გენდერული მოტივის იდენტიფიცირება წარმოადგენს. 2012 წელს

⁵ სტატისტიკა სრული სახით, იხ.:

<http://police.ge/files/pdf/statistika%20da%20kvlevebi/2018/%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98-2018.pdf>

⁶ იხილეთ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ანგარიში

http://apps.who.int/iris/bitstream/handle/10665/77421/WHO_RHR_12.38_eng.pdf?sequence=1

⁷ „2017 წელს მოკლული ქალები-სტატისტიკა და ჩავარდნილი კანონპროექტი“24/11/2017 <http://netgazeti.ge/news/236199/>

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა ცვლილება⁸, რომლის მიხედვითაც, გენდერული მოტივით დანაშაულის ჩადენა პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53¹ მუხლით გათვალისწინებულია, რომ გენდერული იდენტობის მოტივით დანაშაულის ჩადენა წარმოადგენს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას, მაგრამ პრაქტიკაში საგამოძიებო და პროკურატურის ორგანოების წარმომადგენლებისათვის აღნიშნული მოტივის გამოკვეთა⁹ დღემდე სირთულეს წარმოადგენს, არ ხდება აღნიშნული ნორმის პრაქტიკაში იმპლემენტაცია. თუკი ფემიციდის შემთხვევების რიცხვს გადაავლებთ თვალს და გაგაანალიზებთ დამნაშავეთა ქმედებების მიმართ გამოყენებული სასჯელის შესაბამისობას, აშკარაა, რომ სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს მოძალადისათვის გენდერული მოტივით ჩადენილი ქმედებისთვის ადეკვატური სასჯელის შეფარდებას. ამას ემატება ისიც, რომ კანონმდებლობით მოსამართლე სარგებლობს შეზღუდული უფლებამოსილებით და საკუთარი ინიციატივით ვერ ცვლის ქმედების კვალიფიკაციას წარდგენილი ბრალდებიდან უფრო მძიმე ბრალდებისკენ. შესაბამისად ნათელია, რომ სახელმწიფო, სამართლებრივი ხარვეზების არსებობის პირობებში, უუნაროა, დამამძიმებელი გარემოებით ჩადენილ ქმედებისთვის დამნაშავეს შეუფარდოს შესაბამისი სასჯელი.

გამჭვირვალობის გაზრდისა და საფრთხის სათანადო შეფასების მიზნით, მნიშვნელოვანია, საქართველოს პროკურატურამ უზრუნველყოს სტატისტიკის გასაჯაროება. სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა სახალხო დამცველის რეკომენდაცია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევების შესახებ სტატისტიკის წარმოებასა და მის ანალიზთან დაკავშირებით.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა განცხადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას გენდერული ძალადობის ნიშნით 2017-2018 წლის სტატისტიკური ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე. კერძოდ: 2017 წლიდან დღემდე, რამდენი პირის განცხადების საფუძველზე დაიწყო სისხლის სამართლებრივი დევნა გენდერული ნიშნით ძალადობის შემთხვევაში და განმცხადებელთა შორის რამდენი იყო ქალი/მამაკაცი; 2017 წლიდან დღემდე, რამდენი ქალია ცნობილი დაზარალებულად გენდერული ნიშნით; 2017 წლიდან დღემდე ყველაზე

⁸ მუხლი 53¹. წლის 27 მარტის ცვლილება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426>

⁹ ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულისა და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე განხორციელებული მონიტორინგის ანგარიში, 2017წ: <https://gyla.ge/ge/post/qalta-mimart-dzaladobis-saqmeebi>

ხშირად რა სახის ძალადობის შემთხვევებზე არიან ცნობილი დაზარალებულად ქალები.

საქართველოს პროკურატურიდან მიღებული პასუხის შესაბამისად, ირკვევა, რომ 2017 წელს გენდერული დისკრიმინაციის მოტივით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 25 პირის მიმართ, დაზარალებულად ცნობილია 25 ქალი; 2018 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 72 პირის მიმართ, დაზარალებულად ცნობილია 71 ქალი და 1 მამაკაცი.

მიღებული სტატისტიკური ინფორმაცია ადასტურებს, რომ რადიკალურად მზარდია დისკრიმინაციის მოტივით ჩადენილი დანაშაულის რიცხვი. ეფექტიანი პრევენციის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ გენდერული დისკრიმინაციის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე გამოძიება აწარმოოს სრულყოფილად, სადაც გამოკვეთილი იქნება დანაშაულის ჩადენის მოტივი, რაც საქმეზე სამართლიანი შედეგის დადგომის წინაპირობაა.

6. მსხვერპლის/დაზარალებულის შემლუღელი პროცესუალური უფლებები და სისტემური ხარვეზები

დაზარალებულის ხელმისაწვდომობის პრობლემა, გაეცნოს საქმის მასალებს სასამართლოში საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე

ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ წარმოებული საქმეების ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ დაზარალებულის უფლებების დაცვის კუთხით არსებული პრობლემების გადაჭრა დღემდე გამონწვევად რჩება. დაზარალებულის ჩართულობა მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში მინიმუმამდეა დაყვანილი, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ ნაწილს - „ყოველ ადამიანს უფლება აქვს, თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს“. საერთაშორისო სამართალი აღიარებს დაზარალებულის უფლებების შესაბამის სამართლებრივ დონეზე არსებობას. საქართველოში დაზარალებულს არა აქვს უფლება, გაეცნოს საქმის მასალებს წინასასამართლო სხდომის შემდგომ, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს. დაზარალებულებს არ რჩებათ არანაირი ადგილობრივი სამართლებრივი მექანიზმი, დაიცვან საკუთარი უფლებები. ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტები სამ საქმეში ჩაერთვნენ იმ დროს, როცა სასამართლოში საქმე უკვე არსებითი განხილვის ეტაპზე იყო. შესაბამისად,

იურისტებს აღარ ჰქონდათ შესაძლებლობა, გაცნობოდნენ საქმის საგამოძიებო მასალებს.

დაზარალებულის სტატუსის მინიჭების პრობლემატურობა

ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლებში არსებული საქმეებიდან 3 საქმეზე გამოიკვეთა დაზარალებულის სტატუსის მინიჭების პრობლემატურობა. ეს საქმეები არასრულწლოვანი გოგონების გაუპატიურების შემთხვევებს შეეხებოდა. ადვოკატებმა არაერთხელ მიმართეს პროკურატურის ორგანოებს, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს მინიჭებოდათ დაზარალებულის სტატუსი. დაზარალებულის სტატუსის მინიჭება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც სწორედ დაზარალებულის სტატუსით არის შესაძლებელი სისხლის სამართლის საქმის მასალები გასაცნობად ხელმისაწვდომი იყოს მსხვერპლისთვის. განსაკუთრებულად პრობლემატურია ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ მსხვერპლთა მდგომარეობა, რომელთაც ამავდროულად, ენობრივი ბარიერი უშლით ხელს, ინფორმირებულნი იყვნენ შესაბამისად და არ შეეზღუდოთ სისხლის სამართლის მასალებზე წვდომა.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ წარმომადგენელი საქმეების ანალიზით ირკვევა, რომ საგარეუდო მოძალადეების მიმართ არ ხდება დროულად ბრალის წარდგენა. ამასთან, არის საქმეები, სადაც მსხვერპლი ითხოვს მოწმეთა დაკითხვას, მაგრამ ამით გამოძიება არ ინტერესდება. უმეტეს შემთხვევებში ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა საქმეებზე გამოძიება არაეფექტიანი და გაჭიანურებულია.

მსხვერპლთა რეაბილიტაცია

ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობის დასაძლევად, მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ შეიმუშავოს ეფექტიანი სტრატეგია, პრევენციის თანამედროვე მექანიზმი, რაც მინიმუმამდე დაიყვანს მსხვერპლთა შესაძლო რევიქტიმიზაციას და რომლის მიზანი იქნება მსხვერპლთა რეაბილიტაცია. არსებულ გარემოში არ არის უზრუნველყოფილი მსხვერპლთა რეაბილიტაცია. ქალთა მიმართ ძალადობა /ოჯახში ძალადობა ადამიანის უფლებების უხეში დარღვევაა და საზოგადოების ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს. იურისტები, რომლებიც პროექტში სამართლებრივ დახმარებას უწევდნენ მსხვერპლ ქალებს, მნიშვნელოვან პრობლემად სწორედ მსხვერპლთა რეაბილიტაციის პროგრამების არარსებობას ასახელებენ, რაც აბრკოლებს მსხვერპლის საზოგადოებაში სათანადო ინტეგრაციას. სახელმწიფო კონკრეტულ საქმეებზე ვერ უზრუნველყოფს ვერც ძალადობის აღკვეთას და ვერც მსხვერპლთა ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციას. არასრულწლოვნები, რომლებიც

დაექვემდებარნენ ძალადობას, მძიმე სტრესის გამო, წყვეტენ სკოლაში სიარულს, რითაც იზღუდება განათლების უფლება. სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს, რომ მსხვერპლს სოციალურ მუშაკთან და ფსიქოლოგთან გაეწიოს შესაბამისი კონსულტაცია. არსებულ თავშესაფრებში არ ხდება მსხვერპლთა რეაბილიტაცია - არც სოციალური და არც ფსიქოლოგიური. ოჯახში ძალადობა არ არის მხოლოდ მსხვერპლის მიმართ განხორციელებული ძალადობა. ხშირად ოჯახში მცხოვრები ბავშვები ტრამვირებული რჩებიან სამუდამოდ და მათ რეაბილიტაციაზე სახელმწიფო არ ზრუნავს. მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ უზრუნველყოს როგორც თავშესაფარში გადაყვანილ მსხვერპლთა რეაბილიტაცია, ისე თავშესაფრის გარეთ მყოფ მსხვერპლთათვის სარეაბილიტაციო პროგრამების ხელმისაწვდომობა.

სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში გამოვლენილი ხარვეზები, რამაც გამოიწვია მსხვერპლის რევიქტიმიზაცია

ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმოებაში იყო საქმე, რომელიც სექსუალურ ძალადობას შეეხებოდა. ახალგაზრდა ქალი გახდა გაუპატიურებისა და ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს კომპლექსური ექსპერტიზის ჩატარებისას, ფსიქოლოგის მიერ დასმული შეკითხვებიდან ჩანდა სტერეოტიპული განწყობა, მსხვერპლის მიმართ დამამცირებელი დამოკიდებულება. ამ ფორმით დასმული კითხვების გამო და ექსპერტის მიერ წარმოდგენილი რუსულენოვანი კითხვარის შევსებისას, მსხვერპლი განმეორებით გახდა ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი.

მნიშვნელოვანია, შესაბამისი სახელმწიფო უწყებები დაინტერესდნენ, თუ რა კრიტერიუმებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს ეფუძნება ძალადობის მსხვერპლთათვის ფსიქოლოგის მიერ წარმოდგენილი რუსულენოვანი კითხვარი. აუცილებელია ფსიქოლოგების, ექსპერტების ჩართულობა, რათა გადაიხედოს და შეფასდეს, რამდენად შესაბამისია არსებული კითხვარი მსხვერპლის ფსიქო-სოციალური მდგომარეობის შესაფასებლად. ასევე, შესასწავლია სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ფსიქოლოგების კვალიფიკაციის საკითხი. აუცილებელია, გარკვეული პერიოდულობით მოხდეს მათი პროფესიული გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება.

ადამიანის უფლებათა ცენტრი პროექტის მიმდინარეობისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად გამოკვეთს არსებულ გარემოს, სადაც სახელმწიფოს

ვერც ერთი შესაბამისი დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს მსხვერპლთა ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციას. ხშირად მსხვერპლები სწორედ სახელმწიფოს სხვადასხვა დაწესებულებაში განიცდიან განმეორებითი ვიქტიმიზაციას, რადგან მინიმუმამდეა დასული მსხვერპლისადმი ემპათიური დამოკიდებულება. მსხვერპლი განიცდის სირცხვილს, როცა სახელმწიფო უწყებების თანამშრომლები სიტყვიერად ადანაშაულებენ მას, რაც იწვევს მსხვერპლის უკიდურესად დათრგუნვას და შეუძლებელს ხდის მის ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციას.

დაზარალებულთა მხრიდან ჩვენების შეცვლა

ოჯახში ძალადობა განსხვავდება სხვა დანაშაულებისგან. ხშირად მსხვერპლი ვერ ბედავს ოჯახის წევრის ძალადობრივი ქმედების თაობაზე მიმართოს პოლიციას ან თუ მიმართავს, განიცდის მოძალადის გავლენას და შემდეგ ეტაპზე აზრს იცვლის - უარს აცხადებს ოჯახის წევრის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე. დაზარალებულის ჩვენება არის გადამწყვეტი საქმის წარმოების გასაგრძელებლად. პროექტის მიმდინარეობისას ადამიანის უფლებათა ცენტრის კახეთის რეგიონის იურისტი გაეცნო საქმის მასალებს ერთ-ერთ საქმეზე, კერძოდ - 24 წლის ქალმა, რომელიც, მეზობლების გადმოცემით, არაერთხელ გამხდარა ოჯახის წევრთა მხრიდან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი, რამდენჯერმე გამოიძახა პატრული. მიუხედავად იმისა, რომ ოქმებში ფიქსირდება პატრულის გამოძახება ოჯახში ძალადობის შემთხვევაზე, პოლიციელთა ადგილზე მისვლისას ოქმი სხვა შინაარსით დგებოდა. ეს ფაქტი მიუთითებს, რომ ადგილზე ქალი ცვლიდა ჩვენებას. საბოლოოდ დადგა მძიმე შედეგი - ქალი საკუთარ სახლში ჩამომხრჩვალ იპოვა ოჯახის წევრმა. გამოძიება დაიწყო თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით, მაგრამ გამოძიება არ დაინტერესებულა, რა შეიძლება გამხდარიყო თვითმკვლელობის მიზეზი. საქმეზე დღემდე არ არის სამართლებრივი შედეგი. სახელმწიფოს შესაბამისი სტრუქტურები ასეთ მძიმე საქმეზე კომპლექსური მიდგომებით არ მუშაობენ.

ჩვენების შეცვლის პრევენციისათვის ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის მნიშვნელოვანია როგორც სამართლებრივი, ასევე ფსიქოლოგიური მხარდაჭერის აღმოჩენა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ოჯახში ძალადობის შესახებ კანონში შესატანი ცვლილებებით, შემაკავებელი ორდერის პირობების დარღვევის პირველივე შემთხვევაზე მოძალადე საქართველოს სისხლის სამართლის შესაბამისად აგებს პასუხს. კანონპროექტის საკომიტეტო მოსმენა უკვე დაწყებულია¹⁰. ორგანიზაცია

¹⁰ იხ. ინფორმაცია: <http://rustavi2.ge/ka/news/113996>

დადებითად აფასებს აღნიშნულ ინიციატივას. ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ მხოლოდ მკაცრი საკანონმდებლო რეგულაციები ვერ უზრუნველყოფს ისეთი ფართომასშტაბიანი პრობლემის მოგვარებას, როგორცაა ოჯახში ძალადობა და ქალთა მიმართ ძალადობა. საჭიროა, სახელმწიფომ შექმნას პროგრამა, რომელიც ორიენტირებული იქნება მოძალადეების ქცევის გამოსწორებაზე, რაც მნიშვნელოვანია პრობლემის ხანგრძლივადიანი და ეფექტიანი პრევენციის უზრუნველსაყოფად.

მოძალადე პირების რეაბილიტაცია

ადამიანის უფლებათა ცენტრი უარყოფითად აფასებს ძალადობრივი ქცევის კორექციის სახელმწიფო პროგრამების არარსებობას. ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა განსაკუთრებული დანაშაულია, რომლის აღმოსაფხვრელად სახელმწიფომ სხვადასხვა სპეციალური ღონისძიებები უნდა გაატაროს. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიებაა კორექციის პროგრამები, რომელთა არარსებობაც უარყოფითად აისახება საზოგადოების ცნობიერებაზე. სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს მოძალადეთა ქცევის კორექციას. არსებობს რისკი, რომ მოძალადეები, რომელთა მიმართ გამოწერილია შემაკავებელი ან დამცავი ორდერი, ქცევის კორექციის პროგრამის არარსებობის პირობებში, მოძალადეებადვე დარჩნენ.

7. სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ქალთა მიმართ ძალადობის / ოჯახში ძალადობის ფაქტებზე არაეფექტიანი რეაგირების შედეგები

ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების არაკვალიფიციურობა, ძალადობის შემთხვევებზე არაადეკვატური რეაგირება და მსხვერპლისადმი არასენსიტიური დამოკიდებულება. შედეგად, საგამოძიებო მოქმედებები კიდევ უფრო არაეფექტიანია, რაც მნიშვნელოვნად ასუსტებს სამართალდამცავი ორგანოების ნდობას საზოგადოებაში.

პროექტის მიმდინარეობისას ორგანიზაცია მუშაობდა ორ საქმეზე, სადაც გამოიკვეთა პოლიციის გულგრილობა. 2017 წლის 18 ოქტომბერს ვახეთში, სოფელ შილდაში, 24 წლის ქალი სახლის ფარდულში ჩამომხრჩვალი იპოვეს. ახალგაზრდა ქალის სხეული წელს ქვემოთ გაშიშვლებული იყო და

აღნიშნებოდა მრავლობითი ნასერი ჭრილობა. მეზობლები ადასტურებდნენ, რომ მკვლელობამდე ქალმა არაერთხელ გამოიძახა საპატრულო პოლიცია ოჯახში მის მიმართ ფიზიკური ძალადობის ფაქტზე. მკვლელობამდე ერთი კვირით ადრე ქალს ხელზე ნაიარევები აღნიშნებოდა. საპატრულო პოლიციის მხრიდან ოჯახში ძალადობის ფაქტებს შესაბამისი რეაგირება არ მოჰყოლია. ამ საქმეზე დღემდე მიმდინარეობს გამოძიება. სამართალდამცველებმა ვერ დაადგინეს, ქალი მოკლეს და შემდგომ მოხდა თვითმკვლელობის ინსცენირება მკვლელის მიერ, თუ ეს იყო მსხვერპლის თვითმკვლელობამდე მიყვანა¹¹. ორივე ვერსიისთვის თვალსაჩინოა ქალზე განხორციელებული ძალადობის ნიშნები, რასაც ასევე, არ ეძლევა სამართლებრივი შეფასება.

მეორე შემთხვევა მოხდა 2017 წელს, თბილისში. 39 წლის ქალი, 4 შვილის დედა ყოფილმა ქმარმა ელექტროსადენით გაგუდა. დაზარალებულის უფლებამონაცვლის ინფორმაციით, მსხვერპლის და მისი შვილების მიმართ ინტენსიურად ხორციელდებოდა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა არასრულწლოვანი შვილების თვალწინ, ქალს და მის შვილებს არაერთხელ ჰქონდათ მიმართული საპატრულო პოლიციისათვის. 112-ის სამსახურში შედიოდა ზარების მნიშვნელოვანი რაოდენობა და ადასტურებდნენ, რომ მათ მიმართ ხორციელდებოდა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა, მაგრამ საპატრულო პოლიციის რეაგირება ვერც ამ შემთხვევაში იყო შესაბამისი და ეფექტიანი. პოლიციას მოძალადის მიმართ არც ერთხელ არ გამოუწერია შემაკავებელი ორდერი და არ გაუტარებია დაცვის ღონისძიებები. საქმეზე მკვლელს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 11 წლის ვადით, მაგრამ მოკლული ქალის შვილები დღემდე მძიმე ფსიქოლოგიური სტრესის და შიშის ქვეშ ცხოვრობენ და თავს გრძნობენ დაუცველად. მათთვის სახელმწიფოს არც ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია შეუთავაზებია.

აღნიშნის უფლებათა ცენტრის იურისტები დაინტერესდნენ, 112-ის სამსახურში გაანალიზდა თუ არა ოჯახში ძალადობის და ოჯახური კონფლიქტის შესახებ მიღებული შეტყობინებები. ორგანიზაციამ 112-ის სამსახურისგან გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია, მაგრამ პროექტის პერიოდში სამსახურს ინფორმაცია არ მოუწოდებია. მიზეზად დასახელდა მოცულობითი ინფორმაცია, რომელიც საჭიროებდა დამატებით დამუშავებას.

ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობის შემთხვევის გამოვლენა და ფაქტზე ადეკვატური რეაგირება სამართალდამცველი ორგანოების

¹¹ „2017 წელს მოკლული ქალები-სტატისტიკა და ჩავარდნილი კანონპროექტი“24/11/2017 <http://netgazeti.ge/news/236199/>

ვალდებულებაა. თუ გადავხედავთ ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებს და პოლიციის თანამშრომლების მხრიდან ძალადობის ფაქტებზე ე.წ. გაფრთხილების გამოყენების გავრცელებულ პრაქტიკას, ჩანს, რომ სახელმწიფო ეფექტიანად ვერ იცავს ძალადობის მსხვერპლი ქალების სიცოცხლის უფლებას.

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მასშტაბები იმდენად დიდია, რომ შემაკავებელი ორდერის გამოცემაც არ წარმოადგენს მსხვერპლთა დაცვის მაქსიმალურ სტანდარტს. შესაბამისად, მიუღებელია პოლიციის თანამშრომლების გულგრილი დამოკიდებულება და არაეფექტიანი რეაგირება.

შემაკავებელი ორდერის გამოცემა უნდა ემსახურებოდეს მსხვერპლთა უსაფრთხოების დაცვას. ადამიანის უფლებათა ცენტრი ჩართული იყო სამუშაო ჯგუფში, რომელიც შეიქმნა შსს-ს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის ინიციატივით. ორგანიზაცია დადებითად აფასებს შსს-ს ახალი დეპარტამენტის მიერ შემუშავებულ ცვლილებებს, რაც ეხება ოჯახში ძალადობის რისკების შეფასების ახალი ინსტრუმენტების სპეციალური კითხვარის შექმნას¹². აქამდე, ძალადობის შემთხვევის ადგილას მისული პოლიციელი თავად განსაზღვრავდა კითხვებს, რომელსაც მსხვერპლს უსვამდა საკუთარი შეხედულებისამებრ. შესაბამისად, ვერ იღებდა ძალადობის შემთხვევაზე სათანადო ინფორმაციას და ზოგჯერ ადგილი ჰქონდა მსხვერპლისადმი გულგრილ დამოკიდებულებას. მნიშვნელოვანია, მოხდეს პოლიციელების კვალიფიკაციის გაზრდა, რათა ეფექტიანად განხორციელდეს ახალი ინსტრუმენტის გამოყენება. მნიშვნელოვანია, რეგიონებში ჩატარდეს შესაბამისი მონიტორინგი, რამდენად ეფექტიანად გამოიყენებენ რეგიონის პოლიციის თანამშრომლები კითხვარის ინსტრუმენტს ისეთ გარემოში, სადაც გამოიყენებოდა პოლიციელის მიერ „ხელწერილის“ პრაქტიკა, რომლის მეშვეობით მოძალადეები „პირობას დებდნენ“, რომ არ იძალადებდნენ მეუღლეებზე. ეს არაფორმალური პროცედურა, რა თქმა უნდა, არ იწვევდა არანაირ სამართლებრივ შედეგს და ხშირად დგებოდა ფაქტობრივი შედეგი.

8. არაეფექტიანი გამოძიება /დაუსჯელი მოძალადეები

ქალთა მიმართ ძალადობას სახელმწიფო არ უპირისპირდება ეფექტიანი, სრულყოფილი და დროული გამოძიებით. ადამიანის უფლებათა ცენტრის

¹²<http://georgia.unwomen.org/ka/news/stories/2018/08/ministry-of-internal-affairs-enacts-important-policy-shift-in-the-fight-against-domestic-violence>

წარმოებაში არსებული საქმეებიდან ჩანს, რომ ქალთა მიმართ ძალადობის ისეთ მძიმე შემთხვევებზე, როგორც არის - ფემიციდი და გაუპატიურება, გამოძიება ხშირად არაეფექტიანი და გაჭიანურებულია. ორგანიზაციის იურისტები განცხადებით მიმართავდნენ შსს-სა და საქართველოს მთავარ პროკურატურას, თუ რა ეტაპზე იყო კონკრეტულ საქმეზე გამოძიება, მაგრამ პასუხი გახლდათ სტანდარტული, რომ გამოძიება მითითებულ საქმეზე გრძელდება. მიუხედავად იმისა, რომ მსხვერპლი ქალები ასახელებენ მოძალადეებს, ისინი დაუსჯელი რჩებიან და კვლავ საფრთხეს წარმოადგენენ ქალებისთვის.

საყურადღებოა ორგანიზაციის წარმოებაში არსებული გაუპატიურების ორი შემთხვევა. ერთ შემთხვევაში მსხვერპლი იყო ეთნიკურად აზრებაიჭანელი არასრულწლოვანი ორსული გოგო, რომელიც აცხადებდა, რომ გაუპატიურა ქმრის ნათესავმა, რის შემდეგაც ოჯახმა გოგო სახლიდან გააგდო, ხოლო ახალშობილი კი ოჯახმა გააშვილა, რადგანაც ტრადიციებიდან და სტერეოტიპული დამოკიდებულებიდან გამომდინარე, ოჯახი თვლიდა, რომ „ბავშვი იყო წაბილწული“. გაუპატიურების საქმეზე გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137 მუხლის მესამე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით. მიუხედავად იმისა, რომ ჩატარდა კომპლექსური ექსპერტიზა და ექსპერტიზის დასკვნით დასტურდება დანაშაულის ჩამდენი პირის იდენტურობა, მოძალადე კვლავ დაუსჯელია. ორგანიზაციის იურისტმა მიმართა მარნეულის რაიონულ პროკურატურას განცხადებით, თუ რა ეტაპზე იყო გამოძიება. პასუხად მიიღო ინფორმაცია, რომ აღნიშნულ საქმეზე მოძალადის მიმართ ბრალის წარდგენის საფუძველი არ არსებობს. პროექტის განმავლობაშიც აღნიშნულ დანაშაულებს არ მოჰყვა სახელმწიფოს შესაბამისი უწყებების მხრიდან რეაგირება. შესაბამისად, ორგანიზაცია გეგმავს საქმის გასაჩივრებას ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.

რაც შეეხება გაუპატიურების მეორე შემთხვევას, რომელიც საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მოხდა - გამოძიება საქმეზე დაიწყო 2015 წლის დეკემბერში არასრულწლოვანის თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. არასრულწლოვანი მოძალადემ და სხვა პირებმა გაიყვანეს სოფლიდან. მოძალადემ განახორციელა არასრულწლოვანზე სექსუალური ძალადობა, რაც დადასტურებულია სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით. 2016 წლის 15 ივნისს დაუსწრებლად წარედგინა ბრალი არასრულწლოვანთან სექსობრივი კავშირის დამყარების ფაქტზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლის შესაბამისად, მაგრამ მოძალადე დღემდე დაუსჯელია. მიუხედავად იმისა, რომ

არასრულწლოვანმა მოახდინა ყველა პირის იდენტიფიცირება, გამოძიებამ არ უზრუნველყო ეფექტიანი გამოძიების წარმართვა. ადამიანის უფლებათა ცენტრმა წერილით მიმართა სიღნაღის რაიონულ პროკურატურას გამოძიების მიმდინარეობის თაობაზე. პასუხად მიიღო ინფორმაცია, რომ ჩატარებული სრულყოფილი გამოძიების შესაბამისად, არ გამოიკვეთა დაზარალებულის მიერ დასახელებული ყველა შესაძლო პიროვნების ბრალეულობა. დღემდე მიმდინარეობს საქმის არსებითი განხილვა სიღნაღის რაიონულ სასამართლოში.

იკვეთება ტენდენცია, რომ ისეთი კატეგორიის დანაშაულებებზე, როგორც არის არასრულწლოვანთა გაუბატიურება, შსს და საქართველოს მთავარი პროკურატურა ხშირად ვერ უზრუნველყოფს სწრაფი, ეფექტიანი გამოძიების წარმართვას. ამას ემატება ისიც, რომ მსხვერპლი ზოგჯერ მონყვლადი ჯგუფის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელია, რომელსაც არა აქვს ინფორმაცია სამართლებრივი პროცედურების შესახებ. იმის გათვალისწინებით, რომ მამაკაცები აღნიშნულ რეგიონში განსაკუთრებულად დომინირებულ მდგომარეობაში არიან, ქალები განიცდიან განსაკუთრებულ ზეწოლას, ვერ ბედავენ ძალადობის შემთხვევებზე პოლიციას მიმართონ. მაშინაც კი, როცა პოლიციას მიმართეს ძალადობის კონკრეტულ შემთხვევებში, სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო მათი უფლებების დაცვა და კანონის შესაბამისად მოძალადეების დასჯა, რამაც კიდევ უფრო მეტად დააშინა და უსამართლობის განცდა გააღვივა აღნიშნულ რეგიონში. სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს ძალადობის პრობლემის გამოკვეთას და ცნობიერების ამაღლებას რეგიონებში, სადაც მსგავსი კატეგორიის დანაშაულების არსებობა მკვეთრად არის გამოვლენილი. სახელმწიფო ვერც სწრაფი და ეფექტიანი გამოძიების ჩატარებას უზრუნველყოფს, რაც ზრდის მოძალადეების დაუსჯელობის განწყობას და ძალადობის მასშტაბებს.

9. ადრეული ქორწინება

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, ქორწინება დაიშვება 18 წლის ასაკიდან¹³. 2016 წლის 1 იანვრიდან გაუქმებულია ადრე მოქმედი წესი, რომლის თანახმადაც, მშობლების თანხმობით დაიშვებოდა 16 წელს მიღწეული პირების ქორწინებაც. მიუხედავად პოზიტიური საკანონმდებლო ცვლილებებისა, ადრეულ ასაკში ქორწინება საზოგადოებაში კვლავ მწვავე პრობლემად რჩება. გავრცელებულია როგორც ადრეული ქორწინების იტულების, ასევე იტულებითი

¹³ სამოქალაქო კოდექსი: <https://matsne.gov.ge/ru/document/download/31702/75/en/pdf>

ნიშნობის ფაქტებიც. განსაკუთრებით საყურადღებოა საბაზო საფეხურის დასრულებამდე სკოლის დატოვების შემთხვევები.

მიმდინარე პროექტის ფარგლებში, გამოვლინდა არასრულწლოვანთა იძულებითი ნიშნობის ორი შემთხვევა. ერთ საქმეზე ადამიანის უფლებათა ცენტრის ქვემო ქართლის რეგიონალური ოფისის იურისტი ახორციელებდა მონიტორინგს. შემთხვევა შეეხებოდა მარნეულში მცხოვრები 16 წლის გოგონას სავარაუდო იძულებით ნიშნობის ფაქტს, რომლის თანმდევი პრობლემა იყო არასრულწლოვანისთვის საშუალო განათლების მიღების შეზღუდვა¹⁴. მითითებულ ფაქტთან დაკავშირებით სკოლის დირექტორმა დაუყოვნებლივ მიმართა მარნეულის სოციალური მომსახურეობის სააგენტოს და მოითხოვა მათი უფლებამოსილების ფარგლებში რეაგირება. სკოლის დირექტორის ინფორმაციით, კლასის დამრიგებელი ოჯახშიც მივიდა, სადაც დაადასტურეს გოგონას ნიშნობის ფაქტი, ხოლო საგაკვეთილო პროცედურის გაცდენის მიზეზად მისი ავად ყოფნა დაასახელეს. მოსწავლის ნიშნობის საქმეს მარნეულის სოციალური მომსახურეობის სააგენტო სწავლობს. სწორედ სააგენტოს მიმართვის საფუძველზე მარნეულის პოლიციის სამმართველოში დაიწყო საქმის შესწავლა. საყურადღებოა, რომ არასრულწლოვანს არ მიუღია ფსიქოლოგის კონსულტაცია, არც ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დანიშვნა ყოფილა უზრუნველყოფილი, რათა გარკვეულიყო - ხომ არ არის იგი ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი? ხომ არ ხდიან მშობლები მას იძულებულს, დათანხმდეს ნიშნობას? აგრეთვე, ხომ არ იკვეთება მშობლების მხრიდან მშობლის მოვალეობის უგულვებელყოფა? შსს-ს მარნეულის სამმართველოს მიერ არ განხორციელებულა ქმედითი ღონისძიება, რაც უზრუნველყოფდა გოგონაზე სავარაუდო ფსიქოლოგიური ძალადობის გამოვლენასა და შემდგომ პრევენციას. ძალიან მნიშვნელოვანია აღნიშნულ საქმეზე სკოლის დირექტორის ჩართულობა, რომელმაც აღნიშნა, რომ მას გამომძიებელი არასრულწლოვანის თანდასწრებით ესაუბრა და მიუთითა, რომ ის ასეთი აქტიურობით ცდებოდა სკოლის დირექტორის კომპეტენციას.

ადამიანის უფლებათა ცენტრის ქვემო ქართლის რეგიონული ოფისი ასევე ახორციელებდა მონიტორინგს საქმეზე, რომელიც შეეხებოდა მარნეულის სოფელ საბირქენდში მცხოვრები 17 წლის არასრულწლოვანი გოგონას იძულებით ნიშნობას. გოგონა სწავლობს მარნეულში, სოფელ საბირქენდის სკოლაში. მასწავლებლის ინფორმაციით, ბიჭმა, რომელზეც ის დანიშნულია,

¹⁴ <http://reginfo.ge/people/item/5256-marneulshi16-xlis-gogona.-romeliz-zota-xnis-xin-dainishna.-mshoblebs-skolidan-gabybavi>

მოუტანა საჩუქრები სკოლაში, რის გამოც გოგონა ძალიან განერვიულდა, ტიროდა და განიცდიდა, რადგან არ უნდოდა ამ ბიჭზე ქორწინება.

ცენტრის ქვემო ქართლის რეგიონალური ოფისის წარმომადგენლები შეხვდნენ საბირჟენდის სკოლის დირექტორს და პედაგოგებს, რომლებსაც გამოკითხეს საქმის გარემოებები დეტალურად. მათ აღნიშნეს, რომ იყვნენ გოგონას მშობლებთან საკითხის გასარკვევად და მშობლების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, გოგონა დანიშნული არ არის.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მიმართვის საფუძველზე საქართველოს სახალხო დამცველის ქვემო ქართლის რეგიონულმა ოფისმა დაიწყო არასრულწლოვნის საქმის შესწავლა. საქმეზე გამოძიება დაიწყო, მაგრამ მალევე შეწყდა, რადგანაც არასრულწლოვანმა არ დაადასტურა ნიშნობის ფაქტი.

მნიშვნელოვანია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო და პროკურატურა მსგავს შემთხვევებზე რეაგირებდეს განსაკუთრებული ყურადღებით, რადგან ადრეული ქორწინება ადამიანის უფლებების და კერძოდ - ბავშთა უფლებების დარღვევას წარმოადგენს. გამომწვევი მიზეზი კი გენდერულ უთანასწორობას უკავშირდება. ადრეულ ქორწინებაში მყოფი ბიჭების რაოდენობა გოგონებთან შედარებით გაცილებით ნაკლებია. ადრეულ ქორწინებაში მყოფი გოგონები ოჯახური ძალადობის და სექსუალური ზეწოლის გამრძილი საფრთხის ქვეშ იმყოფებიან.

ადრეული ქორწინება უარყოფითად აისახება მოზარდის ფსიქოლოგიურ განვითარებაზე, რაც იწვევს ჯანმრთელობის სხვადასხვა პრობლემებს, მოიცავს არასრულწლოვნისთვის ცხოვრებისეული არჩევნის შესაძლებლობის ხელყოფას, განათლების შეზღუდვას. მნიშვნელოვანია, ქვეყნის მასშტაბით ჩატარდეს ცნობიერების ამაღლების კამპანიები ადრეული ქორწინებისა და მისი უკუშედეგების შესახებ, განსაკუთრებით - იმ რეგიონებში, სადაც მაღალია ნაადრევი ქორწინების რიცხვი. ადრეულ ქორწინებასა და ქალთა უფლებებზე საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის იმპლემენტაციის მიზნით, საჭიროა ამ საკითხების უფრო ეფექტიანად ინტეგრირება ეროვნულ პოლიტიკასა და სამოქმედო გეგმებში.

10. რელიგიური უმცირესობების უფლებები

ადამიანის უფლებათა ცენტრი 2016 წლიდან საქართველოს სამი სხვადასხვა რეგიონის სოფლებში სამართლებრივ დახმარებას უწევს რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებს, კერძოდ: მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ბეითარაფჩიში (ქვემო ქართლი), ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ თივში (კახეთი) და კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ მიქელწყაროში (შიდა ქართლი).

სამივე რეგიონში შესაბამისი ადგილობრივი მუნიციპალიტეტის გამგეობის/მერიის მხრიდან გამოვლინდა საკითხისადმი მსგავსი მანკიერი დამოკიდებულება და გამოიკვეთა შემდეგი სამართლებრივი ხარვეზები: გადაწყვეტილების მიმღები ადმინისტრაციული ორგანო სოფლის მოსახლეობის მიმართვის მიუხედავად, არ ინტერესდება მეჩეთის მშენებლობის ნებართვის გაცემის საკითხით, არ უზრუნველყოფს, გასცეს ინფორმაცია, თუ რა პროცედურების გავლას საჭირო და რა დოკუმენტები უნდა წარმოადგინოს სოფლის მოსახლეობამ, რათა გაიცეს მეჩეთების მშენებლობის ნებართვა.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მხრიდან რელიგიური უმცირესობების მიმართვებზე მას შემდეგ ხდება რეაგირება და წერილებზე პასუხის გაცემა, როცა საქმეში ერთვება კონკრეტული არასამთავრობო ორგანიზაცია. სხვა შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი პასიურობს და არ ინტერესდება პრობლემის გადაჭრით. რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლებისთვის არ ხდება სათანადოდ, მათთვის გასაგებად, კანონმდებლობის განმარტება, რათა მათ შეძლონ მშენებლობის ნებართვისთვის საჭირო დოკუმენტაციის შეგროვება და საჭირო პროცედურების დაცვით შეტანა. შესაბამისად, სამივე სოფელში გადაწყვეტილების მიღების პროცესი გაჭიანურებულია.

2018 წელს გაუქმდა მთავრობის ადმინისტრაციაში არსებული სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო და ის შერიგებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სამინისტროს სტრუქტურაში შევიდა¹⁵. რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლებისთვის საკულტო ნაგებობების მშენებლობის ნებართვის მოპოვება კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება.

¹⁵ <http://www.tabula.ge/ge/story/134134-baxtadzis-iniciativt-reliigiis-saagento-uqmdeba-da-is-sherigebis-saministroshi-sheva>

სამივე შემთხვევაში, ადამიანის უფლებათა ცენტრმა მიმართა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს თხოვნით, რომ ადგილობრივი თემისთვის მიეცათ მეჩეთის მშენებლობის უფლება; დღემდე აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილება არაა მიღებული.

ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ თივში, სადაც ცხოვრობს 300 მუსლიმი, ითხოვენ მეჩეთის მშენებლობის ნებართვას. სოფელ თივში მაცხოვრებელ ქალებს არა აქვთ სასაფლაოზე მდებარე მეჩეთში ლოცვის შესაძლებლობა, მუსლიმური ტრადიციების გამო. ლოცვის დაწყებამდე, ქალებს მამაკაცებისგან იზოლირებულად განსახორციელებელი აქვთ რელიგიური რიტუალი. სოფელში მხოლოდ ერთი მეჩეთია, რომელიც ერთი ოთახისგან შედგება და მხოლოდ 25 მოსახლე ახერხებს ლოცვას. არსებითად ირღვევა მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებები. ამასთანავე, სოფელში მცხოვრები ქალები არიან ორმაგად დისკრიმინირებულ მდგომარეობაში, რადგან ტრადიციით, ეკრძალებათ კაცებთან ერთად აღასრულონ ლოცვა. სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს გამოყოფს შესაბამისი ფართი, რათა დაცული იყოს ქალების რელიგიის თავისუფლების უფლება.

მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ უზრუნველყოს შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება და ეთნიკური, რელიგიური უმცირესობების ეფექტიანი ინტეგრაცია თანასწორობის შესაბამისად. მნიშვნელოვანია, საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს გამართლებული პროცედურების მიღება, გასაგები იყოს საკულტო თუ სხვა ტიპის ნაგებობის მშენებლობისთვის ნებართვის მიღების პროცედურა.

11. ეთნიკური ოსების უფლებები და წვდომა მართლმსაჯულებაზე

პროექტის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა ცენტრი სამართლებრივ დახმარებას უწევდა ეთნიკურად ოს მოქალაქეებს. მნიშვნელოვან პრობლემად გამოიკვეთა საკუთრების უფლების შეზღუდვა, რომელიც სათავეს მე-20 საუკუნის 90-იან წლებში იღებს. სახელმწიფომ ვერც რეპრესიების დასრულების შემდგომ შეძლო ეთნიკური ოსების საკუთრების უფლების აღდგენა.

2017 წლის მაისში ადამიანის უფლებათა ცენტრის თბილისისა და შიდა ქართლის ოფისის წარმომადგენლები ვიზიტით იმყოფებოდნენ ქარელის მუნიციპალიტეტის ეთნიკურად ოსი მოქალაქეებით დასახლებულ სოფლებში, სადაც ოსები დღესდღეობით მცხოვრებთა 35-45%-ს წარმოადგენენ. ამ სოფლებში მცხოვრები ეთნიკურად ოსი მოქალაქეები საუბრობდნენ საკუთრების უფლებების

დარღვევებზე, რაც მომდინარეობს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელთა მხრიდან. საქმე ეხება ათობით ოსურ სოფელს, სადაც გასული საუკუნის 90-იან წლების ტრაგიკული ისტორიები მივიწყებას არის მიცემული და ამასობაში, ახალი კონფლიქტური კერები ღვივდება, სამწუხაროდ - სასულიერო პირთა მონაწილეობით. ადამიანის უფლებათა ცენტრმა გადაიღო რამდენიმე მითოვებული სახლი. ზოგიერთ კერძო სახლში მონასტერია გახსნილი ან სხვა ფუნქციით არის ეკლესიის დაქვემდებარებაში გადასული. სახელმწიფოს წარმომადგენლები საკუთრების უფლების ხელყოფაზე არ ამახვილებენ ყურადღებას. მოსახლეობის გარკვეული ნაწილი საუბრობდა შესაძლო საკუთრების უფლების დარღვევებზე, რაზეც მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს შესაბამისმა ორგანოებმა გამოიკვლიონ საკუთრების უფლების შესაძლო შეზღუდვის შემთხვევები და უზრუნველყონ ეთნიკური უმცირესობის საკუთრების უფლების სათანადო დაცვა.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა 2018 წლის სექტემბერში წარმოებაში მიიღო საქმე, სადაც დაზარალებული გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, ეთნოკონფლიქტის პერიოდში, გახდა ძალადობრივი ექსცესების მსხვერპლი. მისი ოჯახი სხვადასხვა ფორმით აიძულეს, დაეტოვებინა საცხოვრებელი სახლი და გადასახლებულიყო რუსეთის ფედერაციაში, ვლადიკავკაზში (იმ დროისთვის - ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა). ადამიანის უფლებათა ცენტრის მხრიდან სამართლებრივი დახმარების გზით ქალს უკანონოდ წართმეული ქონების შედეგად მიყენებული ზიანის სანაცვლოდ უფლება აქვს, კომპენსაცია მიიღოს სახელმწიფოსგან.

12. რეკომენდაციები

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

ეფექტიანი რეაგირებისა და საზოგადოებაში ნდობის ამაღლების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია:

- სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენლების კვალიფიკაციის ამაღლება და გადამზადება, რათა მათ შეძლონ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობისა რისკებისა და საფრთხეების სწორად შეფასება;
- *განხორციელდეს* ოჯახში ძალადობის რისკების შეფასების ახალი ინსტრუმენტების სპეციალური კითხვარის პრაქტიკაში გამოყენების მონიტორინგი;

- გაანალიზდეს 112-ის სამსახურში შესული ზარები ქალთა მიმართ ძალადობის ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე.
- სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები უნდა ახდენდნენ შესაბამის რეაგირებას ქალთა მიმართ ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევებზე, რა დროსაც მნიშვნელოვანია შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტის ფსიქოლოგის ჩართულობა;
- შსს-მ უზრუნველყოს რეგიონების მიხედვით პოლიციელების დამატებით გადამზადება, ისეთ პრობლემურ თემებზე, როგორცაა - არასრულწლოვანთა იძულებით ნიშნობა და ნაადრევი ქორწინება, რათა მოხდეს პოლიციელების მხრიდან მოსალაგნელი საფრთხეების სათანადო შეფასება და შესაბამისი რეაგირება.
- დამუშავდეს და პერიოდულად გასაჯაროვდეს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შესახებ სტატისტიკური მონაცემები;

საქართველოს მთავარ პროკურატურას:

დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის, პრევენციისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია:

- პროკურორები იყვნენ საკმარისად ინფორმირებულნი გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობრივი დანაშაულის არსის შესახებ და აცნობიერებდნენ გენდერული მოტივით ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების სიმძიმეს.
- უზრუნველყოფილი იყოს გენდერული მოტივის გამოკვეთა ქალთა მიმართ ძალადობის / ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე.
- გაიზარდოს სამართლებრივი ბერკეტების ეფექტიანობა, მსხვერპლთა ღირსეულად დაცვის უზრუნველსაყოფად;
- მოხდეს რისკების შეფასება, იდენტიფიცირება და შესაბამისი ინსტრუქციების განერა;
- უზრუნველყოფილი იყოს ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებისათვის, ადეკვატური სასჯელის გამოყენება;
- ძალადობის მსხვერპლს დროულად მიენიჭოს დაზარალებულის სტატუსი;
- პროკურატურამ იზრუნოს ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ეფექტიანი პრევენციული პოლიტიკის შემუშავებაზე, რომლის მთავარი მიზანი იქნება არსებული გამოწვევების დაძლევა, დანაშაულის მიზეზების გამოვლენა და შესაბამისი კრიმინალიზაცია.
- დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიანი რეაგირების მიზნით, შეიქმნას კომპლექსური სტრატეგია, როგორც პროკურორების, ასევე

სახელმწიფოს სხვა უწყებების თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით.

- არსებული გამონწვევების დასაძლევად, საქართველოს პროკურატურამ აქტიური თანამშრომლობა გააგრძელოს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან.
- მასშტაბური კამპანიების წარმოება საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიმართულებით და ამ კუთხით, მედიის ჩართულობა.

საქართველოს პარლამენტს

- ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ზრდა, ადასტურებს, რომ მნიშვნელოვანია, განისაზღვროს რიგი დანაშაულების შესაბამისი დეფინიცია, მოხდეს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში საკანონმდებლო, პრაქტიკული ხარვეზების იდენტიფიცირება;
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს ფემიციდი - როგორც ქალის განზრახ მკვლელობა, იმის გამო, რომ ქალია.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- შეიმუშავოს და დანერგოს მსხვერპლთა რეაბილიტაციისა და ძალადობრივი ქცევის კორექციის პროგრამები;
- მსხვერპლთათვის ხელმისაწვდომი გახადოს უფასო ფსიქოლოგიური კონსულტაციები;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- მნიშვნელოვანია სასწავლო გეგმებში გათვალისწინებული იყოს ადრეული ქორწინების, იძულებითი ქორწინებისა და ნიშნობის პრევენციის საკითხები;
- ცნობიერების ამაღლების კუთხით სასწავლო დაწესებულებებს, სადაც სწავლობენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, ჰქონდეთ ინფორმაცია სამართლებრივი დაცვის მექანიზმებზე;
- დაინერგოს არასრულწლოვანთა უფლებების საგანმანათლებლო პროგრამა და მასწავლებლებისთვის უზრუნველყოფილი იყოს სათანადო ტრენინგების ჩატარება, რომელთა მიზანი იქნება გენდერული

თანასწორობის, გოგონების განათლების უფლებისა და ოჯახის დაგეგმვის საკითხების შესახებ კვალიფიციური ინფორმაციის მიწოდება;

საქართველოს მთავრობას:

- გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები, რათა გამარტივდეს და ცალკე აქტით განისაზღვროს რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის საკულტო თუ სხვა ტიპის ნაგებობის მშენებლობის ნებართვის პროცედურა;
- ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის აუცილებელია ეფექტიანი ინიციატივებისა და ღონისძიებების შემუშავება;
- ადრეულ ქორწინებასა და ქალთა უფლებებზე საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, საჭიროა ამ საკითხების ინტეგრირება ეროვნულ პოლიტიკასა და სამოქმედო გეგმებში, რომლებიც უკავშირდება გენდერულ თანასწორობასა და ახალგაზრდების განვითარებას;